ევროკავშირი
საქართველოსთვის

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

2025 წლის ცვლილებები საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში



2025 წლის ცვლილებები საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში

თბილისი
2025

მასალა მომზადებულია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

კვლევის ხელმძღვანელები: ნონა ქურდოვანიძე
ნანუკა ყრუაშვილი

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2025, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

შესავალი

2025 წლის 18 ივნისს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებები დაინიციირდა, რომლებიც პარლამენტმა დაჩქარებული წესით 26 ივნისს მიიღო. ცვლილებები შეეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა საბჭოს საქმიანობისა და დაკომპლექტების წესი, სასამართლოს საქმიანობის საჯაროობა, დისციპლინური სამართალწარმოება, მოსამართლესთან კომუნიკაცია და ა.შ. კანონის ეს რედაქცია მნიშვნელოვნად აუარესებს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიებს და მიმართულია სასამართლო სისტემის შიგნით ძალაუფლების კონსოლიდაციისკენ.

1. საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობა და სასამართლოს უპატივცემულობა

ცვლილებები შევიდა საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მე-8 და მე-9 მუხლებში, რომლებიც ეხება სასამართლოს საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობასა და პასუხისმგებლობას სასამართლოს უპატივცემულობისთვის.

სასამართლოს დამოუკიდებლობის შელახვა, ცხადია, ამ ცვლილებებამდეც იკრძალებოდა, თუმცა მე-8 მუხლის პირველ ნაწილს დაემატა სიტყვათშეთანხმება „ნებისმიერი ფორმით“. რა იგულისხმება „ნებისმიერ ფორმაში“, განმარტებული არ არის.

ცვლილება შევიდა ამავე მუხლის მეორე ნაწილშიც, რომელიც ეხება მოსამართლეზე ზემოქმედების აკრძალვას და მის საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობას. ცვლილებებამდე ეს ნორმა მიემართებოდა მხოლოდ მისაღებ გადაწყვეტილებას. მოქმედი რედაქციით კი დასჯადი ხდება მოსამართლეზე რაიმე სახით ზემოქმედება უკვე მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებითაც. ამ მუხლის ლოგიკიდან, მისი სათაურიდან გამომდინარე, გაუგებარი ხდება, როგორ უნდა ჩაერიოს ნებისმიერი პირი სასამართლოს საქმიანობაში, თუ მას ეს საქმიანობა კონკრეტულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით უკვე დასრულებული აქვს და შედეგი დამდგარია.

ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები ქმნის იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ეს ცვლილებები მოსამართლის ან სისტემის დამოუკიდებლობის დაცვისკენ კი არა, არამედ სასამართლოში არსებული სისტემური პრობლემებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების თაობაზე დისკუსიის შეწყვეტისკენაა მიმართული.

რაც შეეხება მე-9 მუხლში შესულ ცვლილებას, განმარტებითი ბარათის მიხედვით, ის „ეხმიანება საქართველოს კანონმდებლობაში უახლოეს წარსულში განხორციელებულ ცვლილებებს, რომლითაც დაწესდა პასუხისმგებლობა სახელმწიფო მოსამსახურეებისათვის მათი საქმიანობიდან (სტატუსიდან) გამომდინარე შეურაცხყოფის მიყენებისათვის“.[1] სასამართლოს უპატივცემულობისთვის პასუხისმგებლობას კანონი ცვლილებებამდეც ითვალისწინებდა და ის ეხებოდა მხარეების, საქმეში მონაწილე სხვა აქტორების, აგრეთვე, სასამართლოს სხდომაზე დამსწრე/მყოფი პირების ქმედებას უშუალოდ პროცესზე ან სასამართლოში. მოქმედი რედაქციით, დაკონკრეტდა, რომ დასჯადია ნებისმიერი ფორმით (მაგალითად, არავერბალურად, უხამსი ქმედებით და ა.შ.), ნებისმიერ ვითარებაში (საჯარო სივრცეშიც) მოსამართლისადმი უპატივცემულობის გამოხატვა.[2]

დასაშვები კრიტიკის ფარგლები საჯარო პირების მიმართ უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირების მიმართ. შესაბამისად, პოლიტიკოსებსა და სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენლებს მათ მიმართ გამოთქმული კრიტიკის მიმართ თმენის გაცილებით მაღალი ვალდებულება აქვთ, ვიდრე სხვა ნებისმიერ მოქალაქეს.[3]

შესაბამისი დეფინიციის არარსებობის პირობებში, შესაძლებელია, ნებისმიერი კრიტიკული აზრი, რომელსაც მოქალაქე გამოთქვამს თუნდაც სოციალურ ქსელში, მიჩნეული იყოს მოსამართლისადმი უპატივცემულობად და პირს დაეკისროს პასუხისმგებლობა. ეს კი, ცხადია, არ მოდის თანხვედრაში გამოხატვის თავისუფლებასთან და მისი შეზღუდვის რისკებს მნიშვნელოვნად ზრდის. გარდა ამისა, სასამართლოს უპატივცემულობა სისხლის სამართლის დანაშაულია[4] და, საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის ამგვარი გაფართოებით, სისხლის სამართლის შესაბამისი მუხლის სხვაგვარ განმარტებასაც გამოიწვევს, რაც, შესაძლოა, რეპრესიულ მექანიზმად იყოს გამოყენებული.

---

[1] განმარტებითი ბარათი საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/legislation/31004, განახლებულია: 27.06.2025.

[2] საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მე-9 მუხლი.

[3] Lacroix V. France, (App. No. 41519/12), ECHR, 2017.

[4] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლი.

2. მოსამართლესთან კომუნიკაცია

ახლებურად დარეგულირდა მოსამართლესთან კომუნიკაციის საკითხი და მნიშვნელოვნად შეიზღუდა მისი შესაძლებლობა, რომ, სტატუსის მიუხედავად, დარჩეს საზოგადოების აქტიურ წევრად. გაიზარდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს („საბჭო“) გავლენები მოსამართლის აკადემიურ თუ სხვა ტიპის საქმიანობის კონტროლის მიმართულებით. ცვლილებების თანახმად, მოსამართლეს სჭირდება ნებართვა ნებისმიერი სხვა საქმიანობის შესასრულებლად.[5]

ვენეციის კომისიის მოსაზრებით, მოსამართლეებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო საზოგადოების აქტივობებში, საჯარო ღონისძიებებში, თუ ეს არ აზიანებს მათ სტატუსს და სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს.[6] იმისთვის, რომ მათ შეძლონ მონაწილეობა ასეთი ტიპის აქტივობებში, არ უნდა სჭირდებოდეთ წინასწარი ნებართვა. ასევე, ბანგალორის პრინციპების შესაბამისად, მოსამართლეს, ისევე, როგორც ყველა მოქალაქეს, აქვს აზრის გამოხატვის, რწმენის, კავშირის შექმნისა და გაერთიანების თავისუფლება, მაგრამ ამ უფლებების განხორციელებისას მან უნდა შეინარჩუნოს მოსამართლის თანამდებობრივი ღირსება, ასევე, დაიცვას სასამართლოს მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.[7]

ცხადია, მოსამართლის ნებისმიერი კომუნიკაცია, მისი საჯარო ცხოვრება ვერ იქნება ჩვეულებრივი მოქალაქის მსგავსი და იგი შეზღუდულია თავისი სტატუსით, თუმცა ეს არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ მოსამართლეს ყველა აქტივობასთან დაკავშირებით ნებართვა სჭირდებოდეს. საკანონმდებლო ცვლილებებით კი, ამგვარ საქმიანობებში ჩასართავად წინასწარი ნებართვის ვალდებულება დაწესდა.

კანონმდებლობით შეიცვალა დაინტერესებული პირის დეფინიციაც.[8] თუ აქამდე, საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის შესაბამისად, დაინტერესებულ პირად მიიჩნეოდა ადამიანი, რომელიც კონკრეტული საქმის განხილვით იყო დაინტერესებული და ამ მიზნით ცდილობდა მოსამართლესთან კომუნიკაციას, ეს დეფინიცია გაფართოვდა და დაინტერესებულ პირად განისაზღვრა ნებისმიერი

[5] საერთო სასამართლოების შესახებ ორგანიული კანონის 49[1]-ე მუხლი.

[6] Venice Commission – „Report on the Freedom of Expression of Judges“ (19–20 June 2015, CDL-AD(2015)018), #26.

[7] Bangalore Principles of Judicial Conduct (2002) Paragraph 4.6.

[8] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 1[1]-ლი მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

პირი, რომელიც, მოსამართლის ან სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობაზე ზემოქმედების მიზნით, ცდილობს მოსამართლესთან არასათანადო კომუნიკაციას.[9] ეს დეფინიცია ძალიან ზოგადია და, პრაქტიკულად, შეუძლებელია, მოქალაქემ განსაზღვროს, რა შეიძლება ჩაითვალოს არასათანადო კომუნიკაციად ან სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობაზე ზემოქმედებად.

ცვლილებები შევიდა 72^1-ე - 72^2-ე მუხლებში. მოსამართლესთან კომუნიკაციის დაუშვებლობა გასცდა კონკრეტულ საქმეს და მოსამართლესა ან, ზოგადად, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობაზე ზემოქმედების მცდელობაც კანონდარღვევად განისაზღვრა.

საინტერესოა, რომ კანონით მოსამართლესთან კომუნიკაციად (რომელიც რეგულირებას ექვემდებარება) მიიჩნევა სასწავლო/პროფესიული განვითარების პროგრამებში მისი ჩართვა, ასევე ნებისმიერი ისეთი საკითხი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება მართლმსაჯულების ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელების პროცესს. ახალი რეგულირებით, ეს თემები პირდაპირ ექვემდებარება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რაც მნიშვნელოვანი შეზღუდვაა, ამასთანავე, ცვლილებები აბსოლუტურად უგულებელყოფს მოსამართლის ინდივიდუალურობას და ართმევს მას რაიმე კომუნიკაციის დამყარების შესაძლებლობას თანხმობის გარეშე.

კანონს დაემატა ახალი მუხლი - 72^7 - „მოსამართლესთან სპეციალური კომუნიკაცია“, რომელიც კრძალავს ნებისმიერ ღონისძიებაში მოსამართლის მონაწილეობას საბჭოს ჩართულობის გარეშე. ამასთანავე, საბჭოსთვის შეტყობინება გულისხმობს არა უბრალოდ შეტყობინებას, არამედ საბჭოსგან ნებართვის მიღებას. ამ ნებართვისთვის კი შესაბამისმა პირმა უნდა წარადგინოს ყველა ინფორმაცია, ღონისძიების მიზანი, არსი, დღის წესრიგი, ხანგრძლივობა, მონაწილე პირების სტატუსი და ა.შ. ამ მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილებას იღებს საბჭოს მდივანი, თუმცა, არ არის განსაზღვრული, როგორ შეიძლება მისი გასაჩივრება.

[9] იქვე.

3. მოსამართლის დამატებითი საქმიანობა

კანონი ასევე შეეხება მოსამართლის მიერ სამეცნიერო ან პედაგოგიური საქმიანობის განხორციელებას, ასევე, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სარგებლის მიღებაზე თანხმობის გაცემის წესს.[10] ამ ტიპის დამატებითი საქმიანობის განხორციელება შესაძლებელი იქნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანხმობით. ამ ნებართვის მისაღებად მოსამართლემ სრული ინფორმაცია უნდა წარუდგინოს საბჭოს მდივანს, სარგებლის აღწერის ჩათვლით.

მდივანს უფლება აქვს, არ გასცეს თანხმობა, თუ: დაგეგმილი აქტივობები ზეგავლენას მოახდენს სამოსამართლო უფლებამოსილების შესრულებაზე; სარგებლის გამცემის საქმიანობა შეუთავსებელია მართლმსაჯულების დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხორციელების პრინციპებთან; მოსამართლის მიერ სარგებლის მიღება უპირისპირდება მართლმსაჯულების ინტერესს, რამაც, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას მის მიუკერძოებლობას.[11]

ჩამოთვლილი საფუძვლები იმდენად ზოგადია, რომ შესაძლებელია, ის შერჩევითად გამოიყენონ. ისინი არ ეფუძნება ობიექტურობის კრიტერიუმებს, შესაბამისად, არაპროპორციულად ზღუდავს მოსამართლის უფლებებს. გადაწყვეტილება გასაჩივრდება შეიძლება, თუმცა ეს არ აჩერებს მის მოქმედებას.[12]

4. იუსტიციის საბჭო, დისციპლინური სამართალწარმოება და საჯაროობა

შეიცვალა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირების წესი. კიდევ უფრო გაფართოვდა მისი უფლებამოსილებები და გაძლიერდა სისტემაში არსებული გავლენიანი ჯგუფი. გარდა ამისა, უქმდება დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური და დისციპლინური სამართალწარმოების ყველა ეტაპი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელში გადადის. ასევე გაუქმდა საბჭოს მიერ მიღებული არაერთი გადაწყვეტილების საჯაროობის ვალდებულება.[13] საბჭოს გამჭვირვალობა ფორ-

[10] საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 49[1]-ე მუხლი.
[11] იქვე, მე-4 პუნქტი.
[12] იქვე, მე-5 პუნქტი.
[13] საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

მალურადაც გაუარესდა, რადგან ცვლილებების შესაბამისად, ის აღარ არის ვალდებული, გამოაქვეყნოს ისეთი საჯარო ინფორმაცია, როგორიცაა სხდომის ოქმები, მოსამართლეობის კანდიდატების შესახებ მასალები და სხვა. შესაბამის საქმეზე სასამართლოს აქტები საჯარო გახდება მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

4.1. სასამართლო პროცესების საჯაროობა და საქმისწარმოების გამჭვირვალობა

ცვლილებებით, ფაქტობრივად, სრულად აიკრძალა სასამართლო პროცესების ფოტო/ვიდეო დოკუმენტირება.[14] აღარ დაიშვება სასამართლოში (სასამართლოს შენობაში, სხდომის დარბაზში, ეზოში) ფოტო, კინო, ვიდეო გადაღება და ტრანსლაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას ახორციელებს სასამართლო ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, ხოლო გადაღებული მასალების გავრცელება სასამართლოს დისკრეციის ფარგლებში მოექცა. ახალი რეგულირება, ფაქტობრივად, სრულად გამორიცხავს სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაზე საზოგადოებრივ კონტროლს და არღვევს გამოხატვის თავისუფლების პრინციპს.

სასამართლო სხდომის ვიდეო და აუდიო ჩაწერას, ტრანსლაციას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანხმობა სჭირდება. ეს ჩანაწერი, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის მედიის მუშაობას. მცირე საპროცესო ვადების გამო, სხდომები ზოგჯერ რამდენიმე საათით ადრე ინიშნება. ასეთ ვითარებაში მედიას პრაქტიკულად დრო აღარ რჩება, რომ დროულად მიიღოს პასუხი იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან.[15]

ცვლილების ძალაში შესვლის პირველივე დღიდან გამოვლინდა მისი აღსრულების პრობლემა. არაერთმა მედიასაშუალებამ მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს სასამართლო სხდომაზე ვიდეო და აუდიო ჩაწერის თაობაზე, თუმცა კვირაზე მეტი გავიდა და საბჭოს ამ საკითხის მომწესრიგებელი დადგენილება ამ გამოუქვეყნებია. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან

[14] საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მე-13[1] მუხლი.

[15] აქციების კონტექსტში დაკავებული პირების საქმეს სასამართლო დარბაზიდან მედია ვერ აშუქებს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2025 წლის 30 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/mediisg-shezgudva-sxdomebze-saia, განახლებულია: 07.07.2025.

საჯაროობის და გამჭვირვალობის პრინციპების უგულებელყოფას, ასევე, ცვლილებების მიზანს - აქციების დროს დაკავებულ პირებს შეეზღუდოთ საჯარო განხილვის უფლება, მოხდეს სასამართლო სხდომებიდან საზოგადოების დისტანცირება და მათი ნაკლები ინფორმირება მიმდინარე საქმეებზე.

4.2. იუსტიციის უმაღლესი საბჭო

წლებია, სისტემის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ჭარბი ძალაუფლებაა. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სასამართლოსთვის მნიშვნელოვან ყველა საკვანძო საკითხზე, თანაც იმგვარი წესით, რომლითაც ამ პროცესში არამოსამართლე წევრების ჩართულობა, ფაქტობრივად, ნომინალურია. ამ მოცემულობას ემატება 26 ივნისის ცვლილებები, რომლითაც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლე წევრების რაოდენობა 9-იდან 12-მდე იზრდება, ხოლო არამოსამართლე წევრების რიცხვი 6-იდან 3-მდე მცირდება.[16] ეს ნიშნავს, რომ არამოსამართლე წევრების ჩართულობა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად საერთოდ არ იქნება საჭირო. ეს ეწინააღმდეგება არამოსამართლე წევრების საბჭოში ყოფნის მიზანს, უზრუნველყონ საზოგადოების მრავალფეროვანი წარმომადგენლობა, რაც კორპორატივიზმის რისკების შემცირებას უნდა უწყობდეს ხელს. განხორციელებული ცვლილებებით, უკვე საკანონმდებლო დონეზე მყარდება ის პრივილეგიები, რომლებიც ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მყოფ პირებს აქვთ. 5-იდან 10 წლამდე იზრდება სასამართლოს თავმჯდომარეების, კოლეგიების/პალატების თავმჯდომარეების უფლებამოსილების ვადები.[17] საია, წლებია, ითხოვს მოადგილეების პოზიციის გაუქმებას, ვინაიდან ამ თანამდებობას საბჭო გავლენიანი მოსამართლეებისთვის უპირატესობის მისანიჭებლად იყენებს.[18] მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ თანამდებობებზე, ძირითადად, ერთი და იგივე – გავლენიანი ჯგუფის წარმომადგენლები აირჩევიან/ინიშნებიან. ივნისის ცვლილებებით, სასამართლოს თა-

[16] საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[17] საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი, 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

[18] ნოზაძე ნ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №10, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2022 წელი, გვ. 27-30, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pd-

ვმჯდომარის მოადგილის თანამდებობა უკვე პირველი ინსტანციის სასამართლოებშიც ემატება.[19] ასევე, უქმდება შეზღუდვა, რომლითაც საბჭოს მდივანი, ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი, არ შეიძლება, იმავდროულად იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე. ეს ცვლილებები, იმ ფონზე, როდესაც ისედაც ფართო და დაუბალანსებელი იყო საბჭოს ძალაუფლება, სისტემას კიდევ უფრო მეტად ჩაკეტავს.

გაუარესდა ინდივიდუალური მოსამართლეების ისედაც მყიფე დამოუკიდებლობის გარანტიები, მათზე ზემოქმედების ბერკეტები კი გაფართოვდა. გაიზარდა მოსამართლის მივლინების ვადა, რომელიც, იმ შემთხვევაშიც კი, როცა მოსამართლე თანახმა არ არის, შეიძლება 5 წლამდე გაგრძელდეს. „თანხმობის გარეშე მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების ინსტიტუტი, შესაძლოა, გახდეს მოსამართლეზე ზეწოლის, პოლიტიკური მანიპულაციის ან მართლმსაჯულების კონტროლის მძლავრი ინსტრუმენტი, არასასურველი მოსამართლის დასჯის, საქმის განხილვისგან ჩამოშორების ან მის განხილვაში არსებული კონკრეტული საქმის შედეგზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით“.[20] წლების განმავლობაში მივლინება ურჩ მოსამართლეთა დასჯის ეფექტიან მექანიზმად გამოიყენებოდა.[21] 2012 წელს მივლინების მომწესრიგებელი კანონმდებლობა პოზიტიურად შეიცვალა. მისი ვადა 1 წლით შეიზღუდა და სავალდებულო გახდა მოსამართლის თანხმობა, ხოლო ვადის გაგრძელება შესაძლებელი გახდა არაუმეტეს 1

---

f/%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%AD%E1%83%9D%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%20No10.pdf_01722851005.pdf, განახლებულია: 07.07.2025.

[19] საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 32[1]-ე მუხლი.

[20] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – გიორგი კვერენჩხილაძისა და თეიმურაზ ტუღუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2025 წლის 7 მარტის №3/4/1693,1700 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=17675, განახლებულია: 08.07.25.

[21] სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები, ავტ. კოლექტივი, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, 2017, გვ. 83-88, ხელმისაწვდომია: http://coalition.ge/index.php?article_id=150&clang=0, განახლებულია: 08.07.25.

წლით. 2021 წლის ცვლილებებით გაუქმდა ეს გარანტიები[22] და, საბოლოოდ, მოსამართლეთა სამართავად წლების წინ არსებული მანკიერი პრაქტიკის დაბრუნების ბერკეტი მისცა საბჭოს.

4.3. დისციპლინური სამართალწარმოება

მოსამართლეებზე ზეწოლის კიდევ ერთი ბერკეტი - დისციპლინური სამართალწარმოება - მთლიანად საბჭოს ხელში გადავიდა და კიდევ უფრო მეტად დაიხურა. არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი წლების წინ არსებულ მდგომარეობას დაუბრუნდა. მაგალითად: განისაზღვრა, რომ მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეიძლება დაიწყოს სასამართლოს თავმჯდომარის მიმართვის საფუძველზე. დისციპლინური გადაცდომის სახედ კანონმდებლობაში დაბრუნდა ჩანაწერი „მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება“, რაც ერთ-ერთი ბუნდოვანი და პრობლემური ნორმა იყო. მოსამართლის დისციპლინური საქმისწარმოება სრულად დაიხურა. ის პოზიტიური ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, სურვილის შემთხვევაში, მოსამართლეს შეეძლო, მოეთხოვა საბჭოს (გარდა თათბირისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებისა), აგრეთვე, სადისციპლინო კოლეგიისა და პალატის იმ სხდომების გასაჯაროება, რომლებზეც მისი საქმე განიხილებოდა, გაუქმდა. ცვლილებებით, იზრდება დისციპლინური სახდელის ზომა - ხელფასის დაქვითვა 5%-იდან 20%-მდე, არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში, შეიცვალა ხელფასის დაქვითვით 10%-იდან 50%-მდე, არაუმეტეს 1 წლის განმავლობაში.[23]

გარდა ზემოხსენებულისა, 2025 წლის 1-ლი სექტემბრიდან უქმდება დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური და შესაბამისი თანამდებობა. მოსამართლის მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებას, საქმის წინასწარ შემოწმებასა და გამოკვლევას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი დაიწყებს.[24] მართალია, ამ სამსახურის შექმნის მო-

[22] შესაძლებელი გახდა მოსამართლის თანხმობის გარეშე მივლინება 2 წლით. ეს ვადა, შესაძლოა, კიდევ ერთი წლით გაგრძელებულიყო. შესაძლებელი გახდა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მივლინება პირველი ინსტანციის სასამართლოში. გარდა ამისა, გაუქმდა ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, კონკრეტულ სასამართლოში მოსამართლის არანებაყოფლობითი მივლინება ხდებოდა ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მყოფი სასამართლოდან.

[23] საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75^3-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

[24] საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75^6-ე მუხლი.

მენტიდან მისი ინსტიტუციური დამოუკიდებლობა კრიტიკას იმსახურებდა, თუმცა, წლების განმავლობაში გატარებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, დისციპლინური სამართალწარმოების სისტემა ბევრად უფრო გამჭვირვალე გახდა. ივნისის დაჩქარებულად მიღებული ცვლილებებით კი, წინსვლის მაგივრად, დისციპლინური სამართალწარმოება, როგორც მოსამართლეებზე ზეწოლის ბერკეტი, კიდევ უფრო მეტად გამყარდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელში.

5. სხვა ცვლილებები

ამ ცვლილებების პარალელურად, საგრძნობლად იზრდება მოსამართლის ხელფასი. თუ აქამდე მისი რაოდენობა 4000-7000 ლარის ფარგლებში მერყეობდა, ცვლილებებით, ის 10512-14600 ლარამდე გაიზრდება. საინტერესოა, ძალაში დარჩება თუ არა დანამატების სისტემა, რომელიც საბჭოს ხელში სისტემაზე ზეგავლენის კიდევ ერთი ბერკეტი იყო.

მარტივდება მოსამართლის დაწინაურება და 5-წლიანის ნაცვლად, საკმარისი იქნება 3-წლიანი გამოცდილება.

უზენაეს სასამართლოში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიძლება განხორციელდეს მოსამართლეების უფრო ვიწრო სპეციალიზაცია.[25] ეს ზრდის მანიპულაციის შესაძლებლობას საქმეთა განაწილებისას, ვინაიდან ვიწროვდება მოსამართლეთა წრე, რაც მეტად განჭვრეტადს ხდის, ვის შეიძლება დაეწეროს ესა თუ ის საქმე.

უქმდება მენეჯმენტის დეპარტამენტის ფუნქციები და მისი უფლებამოსილებები ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციად განისაზღვრება.[26]

გაუქმდა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მისაღები კონკურსის არანაკლებ წელიწადში ერთხელ ჩატარების ვალდებულება. იუსტიციის საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას, როდის გამოაცხადოს კონკურსი. წლებია, იუსტიციის უმაღლეს სკოლასა და მოსამართლეთა კარიერის განმსაზღვრელ საკითხებზე გადაჭარბებული გავლენა აბრკოლებს სისტემაში ახალი კადრების შედინებას.

[25] საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მე-15 მუხლის მე-2[1] პუნქტი.
[26] საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 56[1]-ე მუხლი.

მანდატურის სამსახური გადადის საბჭოს დაქვემდებარებაში. სასამართლოს მანდატურის თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის უფლებამოსილებაც, კანონით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ექნება, რაც მას საშუალებას მისცემს, სურვილისამებრ გაუზარდოს ან შეუმციროს ანაზღაურება მანდატურებს.

ცვლილებებით, მოსამართლეს აღარ ექნება 3 წელიწადში მინიმუმ 5 დღის განმავლობაში, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, შესაბამის პროგრამებში მონაწილეობის ვალდებულება,[27] რაც აქამდე კანონით იყო გათვალისწინებული.

შეჯამება

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულმა კანონმა არაერთი ცვლილებების ტალღა გაიარა. მათი ნაწილი მიმართული იყო სასამართლო სისტემის და მოსამართლეების დამოუკიდებლობის გაძლიერებისკენ. სამწუხაროა, რომ წლების განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი აქტორების მიერ გაწეული ძალისხმევა და პოზიტიურად შეფასებული საკანონმდებლო ცვლილებები გაუქმდა. ახალი ჩანაწერებით, სისტემა უფრო მეტად იზოლირებული და ჩაკეტილი ხდება, ძლიერდება მოსამართლეზე კონტროლის მექანიზმები, საფრთხე ექმნება გამოხატვის თავისუფლებას. ცვლილებების დაჩქარებულად მიღებამ, პრაქტიკულად, შეუძლებელი გახადა კანონპროექტის გარშემო დისკუსია, რაც კიდევ უფრო ნათელს ხდის მისი მიღების მიზნებს.

[27] საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 66[38]-ე მუხლი.